

ჰომოსექსუალური კულტურის წარმოშობა: შამანების ევოლუცია და მათი მემკვიდრეობა

თუკი შამანების შესახებ თანამედროვე ლიტერატურას¹ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ამ ლიტერატურაში არის ერთი საინტერესო ხაზი, რომელიც არ გამხდარა შამანების შესახებ საყოველთაოდ გავრცელებული აზრის ნაწილი: ამ ტექტების მიხედვით აფრიკული და ამერიკელი ინდიელების ტომების შამანები იყვნენ ან ჰომოსექსუალი მამაკაცები, ან ქალები. აფრიკის ზოგიერთ ტომში ჰომოსექსუალური მიდრეკილების ადამიანი ავტომატურად ნიშნავდა შამანს, „კარიბჭის მცველს“².

მეორე, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტი, არის ის, რომ დღეს საზოგადოებრივი წარმოდგენის მიერ ხელოვნების სფეროში ჩართულ ადამიანთა უმრავლესობას მიეწერება ჰომოსექსუალობა - რაც ხშირ შემთხვევაში სინამდვილეს შეესაბამება. ადამიანის სექსუალობის კლასიკური კვლევა, რომელიც კინსეის ეკუთვნის (Kinsey. 1948; 1953), საერთოდ უარყოფს სრულიად ჰეტეროსექსუალური ინდივიდების არსებობას ადამიანთა საზოგადოებაში: კინსეის შკალის მიხედვით ჰომოსექსუალური წილი ვარირებს ასაკის, მდგომარეობის, სოციალური გარემოს, სქესის და სხვა ფაქტორების მიხედვით³.

მესამე, და ალბათ არანაკლებად დასაფიქრებელი ფაქტი არის ის, რომ ადამიანთა საზოგადოებაში აქტიურ ჰომოსექსუალ ინდივიდთა რაოდენობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მაღალორგანიზებულ ცხოველთა საზოგადოებებში - თუკი ადამიანთა

1

<http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:QnD98ljuixcl:www.cosmicelk.net/shaman.htm+gay+shamans&cd=2&hl=en&ct=clnk>; <http://genealogyreligion.net/gay-cavemen-buried-shamans>; Roscoe, Will (2000). Changing Ones: Third and Fourth Genders in Native North America. Palgrave Macmillan (June 17, 2000); Trumbach, Randolph (1994). London's Sapphists: From Three Sexes to Four Genders in the Making of Modern Culture. In Third Sex, Third Gender: Beyond Sexual Dimorphism in Culture and History, edited by Gilbert Herdt, 111-36. New York: Zone (MIT); Wilhelm, Amara Das (2004). Tritiya Prakriti (People of the Third Sex): Understanding Homosexuality, Transgender Identity and Intersex Conditions through Hinduism (XLibris Corporation, 2004).

² GAY AFRICAN SPIRITUAL MASTERS: THE GATEKEEPERS. An Interview with Malidoma Some. <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:3Tp6u2-FF8wj:ravenanda.blogspot.com/2012/05/africanamerican.html+GAY+AFRICAN+SPIRITUAL+MASTERS:+THE+GATEKEEPERS+An+Interview+with+Malidoma+Some&cd=9&hl=ka&ct=clnk&gl=ge>

³ Kinsey, et al. 1948. Sexual Behavior in the Human Male. 1953. Sexual Behavior in the Human Female.

საზოგადოებაში ჰომოსექსუალთა რიცხვი 10-15 % აღწევს⁴, ცხოველთა საზოგადოებაში ის არ სცდება 5%-ს. მკვლევარები თავად ცნება „ჰომოსექსუალის“ გამოყენებას ცხოველთა სამყაროს მიმართ არამართლზომიერად მიჩნევენ⁵: უმეტეს წილად, ჰომოსექსუალური აქტი ცხოველთა საზოგადოებაში დაქვემდებარების, სტრესის მოხსნის და აგრესიის შემცირებისათვის გამოიყენება.

რა კავშირში შეიძლება ეს ყოველივე იყოს ათეულობით და იქნებ - ასეულობით ათასი - წლების წინ პირველ ჰომოებში შამანების წარმოშობასთან? ჰომოსექსუალურ ფიზიოლოგიაზე ცოტა გამოკვლევა არსებობს. არავის არ უნდა შეეხოს პოლიტიკურად არაკორექტულ თემას. თუმცა, ის გამოკვლევები⁶, რომლებიც ჩატარებულია, მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევების შედეგების სტატისტიკურად სანდოობამდე ჯერ შორია, საინტერესო მონაცემებს იძლევა შამანების ევოლუციის გასაგებად:

ჰომოსექსუალური მიდრეკილების ადამიანების ტვინის სტრუქტურის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჰომოსექსუალი კაცების და ქალების ტვინები განსხვავდება ჰეტეროსექსუალი ინდივიდებისაგან. არ არის სწორი თეორია, რომ ჰომოსექსუალი კაცის ტვინი ჰეტეროსექსუალი ქალისას ჰგავს და ჰომოსექსუალი ქალისა - ჰეტეროსექსუალი კაცისას. ტვინების ანალიზმა აჩვენა, რომ ჰომოსექსუალების ტვინი უბრალოდ სხვანაირია: ისინი განსხვავდებიან ჰეტეროსექსუალი ინდივიდების ტვინებისაგან იმ ბირთვის (suprachiasmatic nucleus - SCN) ზომით, რომლებიც აღქმაზე არის პასუხისმგებელი. ეს კვლევები აღძრავენ წინამდებარების დიდ ტალღებს: მკვლევარებს ადანაშაულებენ მეთოდოლოგიურად გაუმართავობაში და კვლევების ბოლოდმე მიუყვანლობაში. თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მინიშნება ტვინების განსხვავებაზე, რაც მაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ ამ შემთხვევაში ჰომოსექსუალობის საფუძველი ადამიანის ევოლუციაშია:

⁴ Kinsey, et al. 1948. *Sexual Behavior in the Human Male*, Table 147, p. 651; 1953. *Sexual Behavior in the Human Female*, Table 142, p. 499.

⁵ Levay, Simon (1996). *Queer Science: The Use and Abuse of Research into Homosexuality*. Cambridge, Massachusetts: MIT Press. p. 207.

⁶ Rahman, Q (2005). "The neurodevelopment of human sexual orientation". *Neuroscience & Biobehavioral Reviews* 29 (7): 1057-66; Swaab DF (December 2004). "Sexual differentiation of the human brain: relevance for gender identity, transsexualism and sexual orientation". *Gynecological Endocrinology* 19 (6): 301-12; Savic I, Berglund H, Lindström P (May 2005). "Brain response to putative pheromones in homosexual men". *Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America* 102 (20): 56-61.

ცხადია, რომ შამანების სოციალური როლი მნიშვნელოვანი იყო პირველი ჰომოების საზოგადოებაში: მათ ეკავათ თუ ყველაზე მაღალი არა, ერთ-ერთი მაღალი ადგილი საზოგადოებრივ იერარქიაში. ისიც ცხადია, რომ ამ ადგილის დაკავება მათ თავიანთი განსაკუთრებული - წარმოსახვის და აღქმის უნარებიდან გამომდინარე - თვისებებით მიხედვით უნდა შესძლებოდათ. ახლა, გამომდინარე მეცნიერების თანამედროვე მოცემულობიდან, დავუშვათ, რომ წარმოსახვის და აღქმის უნარების მიხედვით გადარჩევას, როგორც გვერდითი ეფექტი, მოსდევს ძირითადად ჰეტეროსექსუალური ქცევის ცვლილება ძირითადად ჰომოსექსუალურზე: ანუ, ტვინის ბირთვის ცვლილებას მოსდევს თუნდაც ჰიპოთალამუსის რეაქციის ცვლილება სუნებზე - ჰომოსექსუალი კაცის შემთხვევაში რეაქცია იცვლება ესტროგენიდან ტესტოსტერონზე, ხოლო ჰომოსექსუალი ქალის შემთხვევაში - ტესტოსტერონიდან ესტროგენზე⁷. შედეგად, ვიღებთ ვითარებას, როდესაც პერფორმანსის უნარს, შესაძლებელია, ჰომოსექსუალურ ქცევასთან შეჭიდულობა ახასიათებდეს.

მაგრამ, ეს დაშვება არ პასუხობს კითხვას, რატომ არის ჰომოსექსუალურ ინდივიდთა ასეთი დიდი პროცენტი ადამიანთა საზოგადოებაში სხვა ძუძუმწოვრებთან შედარებით. პასუხი, რომლის მიხედვითაც ჰომოსექსუალი ინდივიდები მაინც მრავლდებიან, სხვადასვა შემთხვევითობის წყალობით, არ არის დამაკმაყოფილებელი და არ ხსნის ადამიანთა პოპულაციაში მათი დიდი რაოდენობით არსებობას.

ამ კითხვაზე პასუხს სარგებლიანი ქცევის ფენომენი იძლევა: სარგებლიანი ქცევა (beneficiary behaviour) არის ისეთი ქცევა, რომელიც სოციალურ სისტემაში ინდივიდისათვის კონკრეტულ სარგებელს იძლევა. სარგებლიანია ქცევა, როდესაც ამ ტიპის ქცევა თავისთავად გვევლინება სოციალური ცვლილების მიღწევის საშუალებად. მაგ. სარგებლიანი ქცევის მაგალითია იერარქიული ბრძოლები, წინასაქორწინო რიტუალები, ფერება, ალტრუისტული ქცევა (ალბათ, ყველა არა), სექსუალური აქტი (ყველა არა) და ა.შ. ანუ, ქცევა, რომელსაც ინდივიდი მიმართავს იმდენად, რამდენადაც იცის ამ ქცევიდან გამომდინარე კონკრეტული სარგებლის შესახებ. ან, რაც, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია, ქცევა, რომლის შენარჩუნება და

⁷ Berglund H, Lindström P, Savic I (May 2006). "Brain response to putative pheromones in lesbian women". Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America 103 (21): 8269–74; Savic I, Berglund H, Lindström P (May 2005). "Brain response to putative pheromones in homosexual men". Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America 102 (20): 7356–61;

კულტივირება ხდება სოციუმში იმიტომ, რომ ეს ქცევა იერარქიულად მაღალ საფეხურზე მდგომებს ახასიათებს.

როგორც ზემოთ აღვწერე, ჰომოსექსუალური ქცევის ინდივიდები საზოგადოების იერარქიაში მაღალ საფეხურზე უნდა ყოფილიყვნენ. ეს კი ნიშნავს, რომ მათი სოციალური როლი სასურველი უნდა ყოფილიყო. შედეგად, ამ ინდივიდებთან შეჯვარება და მათი მონაწილეობით გამრავლება უნდა ყოფილიყო ხელშეწყობილი საზოგადოების მიერ.

სასურველი სოციალური როლები, რომლებიც უზიბებდნენ ადამიანთა სოციუმის მდებარე წევრებს, შეჯვარებულიყვნენ ჰომოსექსუალ მამრებთან, უნდა ყოფილიყო „შამანები“ ან/და „ბელადები“. თუმცა, ეს შეჯვარება შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ საკუთარი შვილისთვის ან საკუთარი თავისთვის სასურველი სოციალური როლის მოპოვება, არამედ, მუცელში მყოფი ნაყოფის დაცვა. შედეგად, ის გენები, რომლებიც განაპირობებენ ჰომოსექსუალური ინდივიდების გაჩენას, საკმაოდ გავრცელებული უნდა იყოს დღევანდელ ადამიანებში.

მხოლოდ ამ სოციალური ფაქტის არსებობა ხსნის ჰომოსექსუალური ფიზიოლოგიის ადამიანთა შთამბეჭდავ პროცენტს დღევანდელ საზოგადოებაში, და ასევე იმას, რომ სრულიად ჰეტეროსექსუალური ქცევის წყვილს შეიძლება გაუჩნდეს ჰომოსექსუალური ფიზიოლოგიის ბავშვი. ხოლო თავად **ჰომოსექსუალ ინდივიდთა არსებობა ჩვენ მიერ უნდა იყოს გაგებული, არა როგორც გადახრა, არამედ, როგორც მემკვიდრეობითობა.**

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჰომოსექსუალური ქცევის ინდივიდთა პროცენტული რაოდენობა ადამიანთა საზოგადოებაში იქნებოდა იმდენივე, რამდენსაც დღეს ვხვდებით მაღალგანვითარებული ცხოველების სოციუმებში.

ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანთა საზოგადოებაში არ გვხვდება ისეთი ჰომოსექსუალური ქცევა, როგორც მაღალგანვითარებულ ძუძუმწოვრებში: ისევე, როგორც მაღალგანვითარებულ ძუძუმწოვრებში, ადამიანთა საზოგადოებაშიც ჰომოსექსუალური აქტი გამოიყენება სტრესის მოსახსნელად, აგრესიის გადამისამართებისათვის. ისევე, როგორც ცხოველთა საზოგადოებაში, ადამიანთა საზოგადოებაშიც სქემა - აგრესია (სტრესი) - ჰომოსექსუალური აქტი - აგრესიის მოხსნა - მუშაობს. მაგრამ ჰომოსექსუალური ქცევის ამ სახეს არავითარი კავშირი არ აქვს მხოლოდ ადამიანებისათვის დამახასიათებელ მესამე სქესთან - ინდივიდების იმ ქვე-პოპულაციასთან, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ჰომოსექსუალური ევოლუციის პროცესში. ხოლო თავად ამ ევოლუციას ბიძგი მისცა მხოლოდ ჰომოებისათვის

დამახასიათებელი დიდი გამაერთიანებელი რიტუალის არსებობის და განვითარების
საჭიროებამ.

